ცნობის ფურცელი

№ 2048 ხუთშაბათი, 23 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2048

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-86 №-რი.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—6 მანეთი.

საზღვარ-გარედ: 1 წლით—9 მ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.

საზღვარ-გარედ: 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

ამა 1903 წელს „მოამბე“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

ხუთშაბათს, 23 იანვარს, გამართული იქნება

საუცხოვო წარმოდგენა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი $8^1/_2$ **საათზე.**

შემოსავალი დანიშნულია „ტფილისის სკოლათა შეუძლო მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ თანხის გასაძლიერებლად. (2—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ბ. ზ. ჯალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ნ. ბარხუძოვი—ქალთა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. ჯალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟი და სუკქიშ გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.)

წარმოდგენა მე-32. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს. 1903 წელს

ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მელანიას ოინები

კომედია 4 მოქმ. ჰაუპტმანიდან გადმოკეთებული კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, საფაროვი, რომანიშვილი, ქლენტი და სხ.

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: **„მიყუნჭული ბედნიერება“, „ნორა“, „ორი დარბაზი“, „სიძე სიმამრი“, „ჩაქცეული ხიდი“, „დარღვეული ძერა“.**

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

საზღვარ-გარედ

შეერთებული შტატები. მკითხველს ეცოდინება დეპეშიდან, რომ გერმანიის ფლოტმა თითქმის უსაბუთოდ ზარბაზნები დაუშინა ვენეცუელას ნავთ-სადგურ სან-კარლოსს და დაანგრია. გერმანიის ასეთმა ბარბაროსულმა ქცევამ მთელი განათლებული ქვეყნიერობა აალაპარაკა, მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერ კი შეერთებულ შტატების საზოგადოება აღელვა და გააბრაზა. „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ დეპეშით ვაშინგტონიდან: აქაური ხალხი დღესაც არ დამშვიდებულა და ისევ წინანდებურად ჰღელავს გერმანიის წინააღმდეგ. უმთავრესი გაზეთები სასტიკად და მკაცრად ჰგმობენ გერმანიის მხეცურ ქცევას. „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტიც ასეთსავე ამბავს იუწყება:

„აქ ეხლა უფრო მტრულად უყურებენ გერმანიას, სანამ რამდენისამე კვირის წინად უყურებდნენ. „ჟურნალ“-მა გრძელი მოწინავე წერილი დაჰბეჭდა და ურჩია პრეზიდენტს, გერმანიასა და იმის მოკავშირე სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ მოსთხოვე, რომ ბლოკადაზე ხელი აიღონო. სენატორები და წარმომადგენელთა პალატის წევრები შეწუხდნენ სწორედ, იმდენი აუარებელი წერილი მოსდით თავიანთ საარჩევნო ოლქებიდან; ამომრჩევლები თხოულობენ პრეზიდენტი დაარწმუნეთ, გაბედულად მოიქცესო. ბიულოვის განმარტება, ვითომ გერმანია თავის სახელის დასაცველად მოიქცა ასეო, ჰკუაში არ მოსდით ამერიკელებს; ესენი ამბობენ: ისეთ მსოფლიო და მძლავრ ქვეყნის სახელს, როგორიცაა გერმანია, ვერას დააკლებს საცოდავ ვენეცუელას უძლური დაცემაო. აქაური გაზეთები იმას ატანენ ძალას, რომ ზარბაზნების სროლის დროს ამდენი უდანაშაულო ხალხი დაუხოციათ გერმანელებსაო“. კორესპონდენტი უმატებს: „თუ კიდევ მოხდა ერთი ისეთანა ამბავი, როგორიცაა სან-კარლოსის დანგრევა, ვფიქრობ, რომ ამერიკის მთავრობა ველარ შესძლებს საზოგადოების წინააღმდეგობას და მაშინ გერმანიას დიდი გასაჭირი დაადგება“. კორესპონდენტს შეუტყვია: აქაურ მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომის დროს ვენეცუელას საქმეებზე ჰქონია თათბირი და დაუდგენია: იურიდიულად გერმანიას უფლება ჰქონდა სან-კარლოსისათვის ზარბაზნები დაეშინა, მაგრამ თუ ამისთანა ამბავი კიდევ მოხდა, მაშინ კი შეიძლება გერმანიისა და შეერთებულის შტატების ურთიერთობა შეირყესო.

გერმანია. გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტი გრაფი ბალესტრემი თავის თანამდებობიდან გადადგა. საქმე ასე იყო.

ბიუჯეტის განხილვის დროს, ბავარიელ მუშების მეთაურმა ფოლმარმა მთავრობის საგარეო პოლიტიკასა და იმპერატორის ქცევაზე ილაპარაკა რეიხსტაგში. ფოლმარმა სასტიკად გაჰკიცხა გერმანიის მთავრობის ძალ-მომრეობითი და შოვინისტური პოლიტიკა და ქებით მოიხსენია საფრანგეთისა და გერმანიის დემოკრატიის კაცთ-მოყვარული, მშვიდობის მყოფელი პოლიტიკა. ორატორმა ღრმა პატივისცემით გაიხსენა ჟორესის გაბედული და პატიოსანი მოქმედება. ფოლმარმა სთქვა: „მოვა დრო, როდესაც ორი დიდებული, სამწუხარო მოგონებით განცალკევებული, ერი ერთმანეთს ხელს მიაწვდიან მეგობრულად. მაგრამ ამ კეთილ საქმეში ჩვენს მთავრობასა და დიპლომატებს ნამცეცი წილი არ უდევთ. გერმანიისა და საფრანგეთის დამეგობრება იმათ წყალობით მოხდება, ვისაც ეხლა სამშობლოს მოღალატესა და გამცემელს ეძახიან. განა ფრანგი ნაციონალისტები ჟორესს სამშობლოს გამცემელს არ ეძახიან? გერმანიაშიაც ასე გვიყურებენ მეცა და ჩემ პოლიტიკურ მეგობრებსა“-ო.

შემდეგ ფოლმარმა იმპერატორის სიტყვების თაობაზე ილაპარაკა და ბოლოს კრუპის საქმე ახსენა. ახსენა თუ არა ზარბაზნების განსვენებულ მეფის სახელი, რეიხსტაგის პრეზიდენტმა მაშინვე ზარი დააწკარუნა. მთელი რეიხსტაგი გაჩუმდა: ფოლმარი შედგა, პრეზიდენტმა გრაფ ბალესტრემმა უთხრა ორატორს: ბ-ნო დეპუტატო, ნებას არ მოგცემთ კერძო კაცის სიკვდილზე და იმპერატორის ნათქვამ სიტყვაზე ილაპარაკოთ. ეს—საზოგადო საქმე როდია. (პალატა ჰღელდება, ბევრნი პროტესტს აცხადებენ.) ფოლმარმა დინჯად უპასუხა:

„ბ-ნო პრეზიდენტო, ძლიერა სცდებით, თუ გგონიათ, რომ მე თუნდ ერთს სიტყვას ვიტყვი კრუპზე, და ან იმის საქმეზე: ეგ,—თქვენ სწორედა ბრძანებთ—კერძო კაცის საქმეა. მაგრამ კრუპის გადაცვალების შემდეგ რომ იმპერატორმა ორი სიტყვა წარმოსთქვა და ორ მილიონ გერმანელის წარმომადგენელ დიდ პარტიას დიდი ბრალი დასდო—ეს კი კერძო საქმე როდია. მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები „რეიხსანცეიგერ“-ში (მთავრობის ოფიციალური გაზეთია) დაიბეჭდა, რეიხსტაგის ჩვეულების ძალით, უფლება აღარა გაქვთ ამ სიტყვებზე ლაპარაკი ამიკრძალოთ.“

პრეზიდენტი: „ეგ სიტყვებიც“ კერძო კაცის ნათქვამი სიტყვებია და ამიტომ თქვენ არა გაქვთ უფლება იმაზე ილაპარაკოთ. (მარცხენა მხარეს ძლიერი გაჯავრებული ყვირილი ისმის: „ეს პრეზიდენტი კი არა, ნამდვილი დიქტატორია“). მე რეიხსტაგისაგან მონდობილ მოვალეობას ვასრულებ და სანამ ამ ადგილას ვდგევარ, მოვალენი ხართ დამემორჩილოთ.“

ფოლმარი ისევ ისე დინჯად და ღირსეულად უპასუხებს: „ბ-ნო პრეზიდენტო, ყოველთვის ძალ-მომრეობის მტერი ვარ და კანონს ვემორჩილები, მაგრამ ამისთანა ამბავი კი, როგორიც ეხლა თქვენ მოახდინეთ, ჯერ რეისხტაგის ისტორიაში არ მომხდარა. თქვენ რეიხსტაგში ლაპარაკის თავისუფლებასა ჰკრძალავთ და... დეპუტატს პირში ბურთსა სჩრით... (პალატა ხმა მაღლა იწონებს დეპუტატის ნათქვამს). მე ვამტკიცებ მთელის ჩვენის ქვეყნის წინაშე, რომ რეიხსტაგის პრეზიდენტმა ამავე საგანზე თავის პარტიის წევრი კი ალაპარაკა და მეორე პარტიას კი ლაპარაკის ნებას აღარ აძლევს, როდესაც ამ მეორე პარტიას უფრო დიდს ბრალსა სდებენ და უფრო დიდ შეურაცხყოფას აყენებენ იმპერატორის სიტყვები.“

არა თუ მარტო უკიდურეს მარცხენა პარტიას, მთელს რეიხსტაგს არ მოეწონა გრაფ ბალესტრემის ქცევა. როცა მარცხენა პარტია გაჯავრებით უყვიროდა და პროტესტს უცხადებდა პრეზიდენტს, მარჯვენა პარტია და ცენტრიც გაჩუმებულნი ისხდნენ და ერთის სიტყვითაც არ გამოესარჩლნენ პრეზიდენტს. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა არც იმათ მოუვიდათ ჰკუაში. შემდეგ ყველა გაზეთებმაც ისე სასტიკად გაჰკიცხეს პრეზიდენტის ქცევა, რომ გრაფი ბალესტრემი თანამდებობიდან გადადგა. როგორც დეპეშებში ეწერა, რეიხსტაგმა ხელ-მეორედ ისევ ბალესტრემი აირჩია თავის პრეზიდენტად.

ახალი ამბავი

◆ რუსულ გაზეთებს **პეტერბურგიდან დეპეშით აცნობებენ**: კავკასიის საცენზურო კომიტეტის უფროსი ცენზორი უმანეცი ინიშნება მსტისლავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად; გადაჰყავთ: ქუთაისის საოსტატო სემინარიის დირექტორი მოხირი—კავკავის რეალურ სასწავლებლის დირექტორად; ოლქის სასამართლოების ბრალმდებელთა ამხანაგნი, ბაქოსი შულცი და სტავროპოლისა სერპოვსკი—ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელთა ამხანაგებად; ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი გლაგოლევი—ასეთსავე თანამდებობაზე ერევნის ოლქის სასამართლოში; სიღნაღის ნაწილის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე დანიელბეგოვი—თელავის ნაწილის მომრიგებელ-მოსამართლედ; ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის ამხანაგი, ხლოდოვსკი და წევრი ჟუკოვსკი—ასეთსავე თანამდებობაზე პირველი მოსკოვის, ხოლო მეორე კიევის პალატაში; ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგნი ბაქოსი სტრუვე და ერევნისა ტურბოვიჩი—იმავე თანამდებობაზე ტფილისის ოლქის სასამართლოში.

◆ ამ ბოლოს დროს დიდი თოვლი მოვიდა თითქმის ყველგან ამიერ-კავკასიაში. თოვლის გამო ბევრგან **გზა შეიკრა** და მიმოსვლა შეჩერდა. ამავე მიზეზით შეკრულა თელავის გზა ვაზიანსა და უჯარმას და აგრეთვე გომბორსა და თეთრ-წყალს შუა. გზის გაწმენდას უკვე შეუდგნენ.

◆ 21 იანვარს ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზე წევრმა ენფიანჯიანცმა განაცხადა, რომ 24 მაისს უთავდება ვადა ალიბეგოვისა და ყორღანოვის საკონცესიო უფლებებს და საჭიროა **ავჭალის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის** საქმისთვის ეხლავე ვიზრუნოთო. გამგეობამ გადასწყვიტა სთხოვოს საბჭოს, არჩეულ იქნას კომისია აღნიშნულ საქმის შესახებ მოხსენების შესამუშავებლად.

◆ **მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა** გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ, როგორც შევიტყეთ, დაწვრილებითი ცნობები მოსთხოვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გამგე-კომიტეტის აღმასრულებელ კომისიად გადაკეთების შესახებ.

◆ 21 იანვარს **ტფილისის ქალაქის გამგეობამ** გადასწყვიტა ყოველ დღე იქონიოს სხდომები მიმდინარე საქმეების განსახილველად ნაშუადღევის 1 საათიდან 4 საათამდე, გარდა იმ დღეებისა, როცა კრება ექნება ქალაქის საბჭოს. ამ დადგენილების ძალით, გამგეობას მთხოვნელებმა უნდა მიჰმართონ ნაშუადღევის 1 საათამდე.

◆ ქალაქში ამბავი მოსულა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწონებია კავკასიის მთავარმართებლის პროექტი შესახებ იმისა, რომ **გერმანელ კოლონისტების მართვა-გამგეობა** საზოგადო ადმინისტრაციას გადაეცეს. როგორც ვიცით, ამ კოლონისტების ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა აქამომდე სახელმწიფო ქონებათა სამმართველოთა განსაკუთრებულ აგენტების ხელში იყო და საზოგადო ადმინისტრაცია ამ საქმეს სრულებით არ ეხებოდა.

◆ ხორცით სავაჭრო ქალაქის დუქნების მმართველს ბ-ნ ალიხანოვს განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, **ცხვრის ხორცზედაც ნიხრი უნდა მივუმატოთ**, რადგან ამ ბოლოს დროს ქალაქში ძლიერ ცოტა შემოდის ცხვარიო. ამისათვის საჭიროა საცდელად რამდენიმე ცხვარი დაიკლას, რომ ვიანგარიშოთ მომავალი ნიხრიო.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის საბჭომ კომისია აირჩია **ნატახტარის წყაროების გამოსაკვლევად**, რადგან ამ წყაროების ტფილისში გამოყვანაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. კომისიამ რამდენჯერმე დაათვალიერა შარშან ეს წყაროები და ეხლა, როგორც გვითხრეს, თავისი მოხსენება დაუმთავრებია და იბეჭდება კიდეც, რომ მოკლე ხანში ხმოსნებს დაურიგონ და საბჭოსაც მოხსენდეს.

◆ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულება მოუხდენია, რომ **საძოვარ ადგილების საიჯარო ფული**, რომელიც სოფლის მცხოვრებლებზე გადაუხდელი რჩება, ამის შემდეგ ამ სამმართველოს აგენტებმა აჰკრიბონ და არა პოლიციის მოხელეთ, როგორც აქამომდე იყო.

◆ როგორც გვატყობინებენ, დუშეთსა და წილკანს შუა დიდი თოვლისაგან **შეკრული გზა გაუწმენდიათ** მარხილების სასიარულოდ.

◆ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამბავი, რომ **ავჭალაში ხუნაგი** გაჩნდა და ამის გამო ექიმიც გაიგზავნა საშუალებათა სახმარებლად. ახლა ჩვენ გადმოგვცეს, რომ ხუნაგი ერთ ოჯახში აღმოუჩენია ექიმს, მაგრამ ავადმყოფ ბავშვის მშობლებს ექიმი ახლოსაც არ მიუკარებიათ: „ანგელოზების“ ექიმობა არ შეიძლებაო, უთქვამთ ექიმისათვის. კარებს გარედ დარჩენილი ექიმი ბ-ნი კლიაჩინი ტფილისს დაბრუნებულა და სამაზრო ადმინისტრაციისათვის გამოუცხადებია ეს ამბავი. მაზრის უფროსს ბრძანება მიუცია მამასახლისზე, ექიმი ავადმყოფთან მიუშვან საშუალებათა სახმარებლად.

◆ ვინ იცის, რამდენი სიყალბე გაუსაღებია ტფილისის ვაჭრებს წარსულ დღესასწაულების დღეებში თაფლის მაგიერ. ქალაქის ექიმს ბ-ნ გედალინს იარმუკის ვაჭრებისაგან **თაფლის ნიმუშები წაუღია** და ქალაქის ლაბორატორიაში გადაუცია გამოსაკვლევად. აქ აღმოუჩენიათ, რომ 58 წილი სულ ყალბი თაფლი ყოფილა, კრახმალისა, შაქრის წვენისა თუ წყალ-ნარევი. სასანიტარო-საექიმო საბჭოს ამ ვაჭრებზე ოქმი შეუდგენია და სასამართლოსათვის გადაუცია.

◆ 21 იანვარს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ექიმის ანანოვის მოხსენება **ხუნაგთან საბრძოლველად** საშუალებათა მიღების შესახებ. გამგეობამ გადასწყვიტა დაავალოს სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს მოაწყოს დროებით ქალაქის სამკურნალოსთან ყელისა და პირის ნერწყვის გამოსაკვლევად საბაქტერიოლოგიო სადგური, სადაც ღარიბებს უფასოდ გასინჯავენ და დაურიგებენ ხუნაგის მომსპობელ წამალს. სადგურის დასაარსებლად გამგეობამ გადასდო 600 მან.

◆ გუშინ, 22 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე რკინის გზის გამგეობის მოხელის დავით კრიკორიევისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდებოდა. საბრალდებლო ოქმით კრიკორიევს მიხეილ ბელკოვის სახელით შეუდგენია ორი თამასუქი, ერთი 2000 მან. და მეორე 700 მან., და ხელწერილი, თუ ბელკოვი დროზე ამ ფულს არ გადაიხდის, ჯარიმად 1300 მან. უნდა გამოერთვასო. კრიკორიევს შეუდგენია ორი წერილები, ვითომ ბელკოვი სწერდა, შენი ფულები მმართებს, დამაცადე და მალე გადაგიხდიო. ამ საქმის გამო განაჩენის გამოცხადება ოლქის სასამართლომ გადასდო დღეს, 23 იანვრის, 12 საათისათვის.

◆ ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა განცხადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ სოლოლაკიდან მტკვრამდე გაყვანილ წყლის სადენ მილის მიმართულება შეიცვალოს, რადგან შესაძლებელია მილი საზარალო იყოს სახლის პატრონებისათვისაო. გამგეობამ მოხსენება განიხილა 21 იანვარს და დაადგინა დაავალოს ტეხნიკოს ადაჯანოვს, შეადგინოს პროექტი იმისა, თუ რა დაჯდება ქუჩების ქვეშ მილის გამართვა.

◆ კერძო ვაჭრები ელექტრონით განათებისა ამ ბოლოს დროს ძლიერ ცდილობენ კერძო სახლებში ელექტრონით განათების გავრცელებას; ბევრმა კიდეც გაიმართა ეს განათება. ქალაქის გამგეობაც ამის ნებას დაუბრკოლებლივ აძლევს, მხოლოდ ავალებს ელექტრონის გამცემ ფირმებს ქალაქის ქუჩაშიაც უფასო ფარნის გამართვას.

ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქალაქის ზოგიერთ ამომრჩეველთ განცხადება შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში, უფასო ფარნები უფრო ისეთ ადგილებში იდგმება, სადაც შედარებით უმისოდაც კარგად განათებულია ქუჩა-მოედნები, ხოლო ქალაქის განაპირა ადგილები მაინც უპატრონოდ რჩებაო. ამისათვის უკეთესი იქმნება ელექტრონის გამცემ ფირმებს დაავალონ ფულად შეიტანონ ქალაქის კასაში იმ სარგებლობის წილი, რომელსაც თვითონ იღებენ ელექტრონის სინათლის მსურველთაგან; ამ მხრით მცხოვრებელთა უფრო მეტ წილს ქმნება სარგებლობა ამ შემოსავლიდანაო.

◆ შორაპნიდან გვატყობინებენ: 19 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე, რკინის გზის მე-127 ვერსზე, გზის შუა შორაპნის მაზრის მცხოვრები ადამ ფერაძე ლიანდაგზე მიდიოდა, მუშაობიდან დაბრუნებული; უკანიდან წამოსწევია სახალხო მატარებელი № 15 და გაუჭყლეტია.

◆ უმაღლესს მთავრობას, როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ, შეუწყნარებია კავკასიის მთავრობის თხოვნა და გადუდვია ტფილისის სახაზინო თეატრისათვის 69 ათასი მანეთი წინა წლების ზარალის დასაფარავად.

◆ 20 იანვარს, კახეთის მოედანზე, წყლის მილის მეონკანე ივანე სტ. კოლინოვი დამთვრალი გამოსულა ამოღებულის დანით და დაუწყია ხუმრობით გამვლელ-გამომვლელთათვის ქნევა, რომლის დროსაც დაუჭრია გვერდში წყლის მზიდველი მარტიროს ალათიანი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ: 21 იანვარს რკინის გზის მე-7 ვერსზე მომავალ მატარებელ №-34-დან დაუნახავთ გზაზე მკვდარის კაცის გვამი. უცნობის კაცის გვამი ბაქოს საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

◆ ქიათურის შტოს რკვიას სადგურიდან გვატყობინებენ: 21 იანვარს სალიეთიდან მოდიოდა მატარებელი № 97. ამ მატარებელმა დაიგვიანა 35 წუთი, რადგანაც საფოსტო ვაგონი მე-29 ვერსზე ლიანდაგს გადასცდა. ვაგონი მცირედ დაზიანდა. უბედურება არავის შემთხვევია.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 25 იანვარს სახაზინო პალატის სადგომში მოხდება ქუთაისის გუბერნიის სასოფლო საჭიროებათა კომიტეტის კრება, რომელზედაც განხილულ იქმნება იურიდიულ სექციის მოხსენება.

◆ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ „კოლხიდა“-მ მიიღო ამ დღეებში მიწათ მოქმედების მინისტრის რწმუნებულისაგან ქართულად დაბეჭდილი 500 ცალი მოკლე დარიგება „ამერიკული ბამბა და იმისი მოშენება ამიერ-კავკასიაში“. წიგნაკებს ამხანაგობა უფასოდ დაურიგებს სოფლელებს.

რუსეთის ქრონიკა

◆ სოფლის საჭიროებათა გამომრკვევ საგუბერნიო კომიტეტში ბევრგან შეტაკება მოუხდათ თავმჯდომარეებსა და წევრებს. ამ შეტაკების მიზეზი ზოგგან ის იყო, რომ თავმჯდომარენი გარეშეებს არ უშვებდნენ კრებებზე, პროგრამას ზღუდავდნენ, თავისუფლად ლაპარაკის ნებას არ აძლევდნენ

ფელეტონი

ზღვაზე ომიანობა *)

ტორპილი.—ტორპილერი.—ზღვის ქვეშ მოსიარულე გემები

ადამიანის სიცოცხლეს ჯერ ისეთი დიდი მტერი არა ჰყოლია, როგორც თვით ადამიანი. რომელიღაც მწერალი ამტკიცებდა, რომ არც ერთს ჭირს, არც ერთს უბედურს ბუნებრივ მოვლენას იმდენი ადამიანის სიცოცხლე არ უმსხვერპლია, რამდენი სიცოცხლეც ომიანობას მოუსპია. თითო-ოროლა კაცის კვლა ყველა ხალხში, და, მგონი, ყველა ადამიანს დიდ ცოდვად და საძრახისად მიაჩნია, მაგრამ თუ იგივე მკვლელობა ათასობით მოხდა. თუ ხალხის ელეტას ომის სახელი დაერქვა, თუნდაც რომ ეს ომი ადამიანის თავდაუჭერელ სიამაყით, გულდიდობით ან გაუმაძღრობით იყოს გამოწვეული, მაშინ კაცის კვლა საძრახისი და ცოდვა კი არ არის, არამედ საგმირო და ღმერთის სასიამოვნო საქმეა; ამ აზრის დასამყარებლად ადამიანმა შეჰქმნა კიდეც განსაკუთრებული დაწესებულება, ღვთის ნებით და კურთხევით.

მართალია, თავდაპირველად ადამიანის მოსაკლავი იარაღი სულ მარტივი იყო, მაგრამ ადამიანის განვითარებასთან ერთად, იარაღიც განვითარდა. ჯოხზე წამოცმული პირიანი ქვა ადვილად გაუხეთქდა კაცს თავის ქალას, მაგრამ შეიძლება არ მოეკლა; ადამიანს უკეთესი იარაღი უნდოდა და გამოიგონა ათასნაირი ცულები, ნაჯახები, დანები, ხანჯლები და ხმლები. ხელით ნასროლი ქვით აბარას გახდებოდა ადამიანი. მას უნდოდა შურდული, შვილდ-ისარი და სხვა ათასი სასროლი მანქანები. არც ცეცხლი უნდა ყოფილიყო დავიწყებული, რომელიც ასე ადამიანის თვალსაჩინოდ ყველაფერს ანადგურებდა; და ის ადამიანი, ვინც პირველად წარმოიდგენდა რა შავი დღე დაადგებოდა მტერს, იმის გემს რომ წყალში ცეცხლი გაჩენოდა, ალბად, სიამოვნებით გადიხარხარებდა და მაშინვე ამ საშუალების გამოგონებას შეუდგებოდა. ვინ იქნებოდა ეს პირველი წყალზე ომიანობის მომგონი, არვინ იცის. ისტორიკოსები მოგვითხრობენ, ვითომ ძველად ასირიელები, მერე ბერძნები და რომაელები რაღაც ასანთებ სითხეს ხმარობდნენ, მტრის გემების დასაწვავათო; ამ სითხეს მაშინებით შეასხამდნენ თურმე მტრის გემებს და გადასწვავდნენ. რა სითხე იქნებოდა ან როგორ აზავებდენ ამნაირ სითხეს, რომ წყალშიაც კი არა ჰქრებოდა, აქამდინ ვერავის გამოუცვნია. მაგრამ, უკაცრავად; რომ მოინდომებიათ და საჭირო ყოფილიყო, აქამდინ უეჭველია გამოიცნობდენ, მაგრამ საჭირო აღარ გახდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეხლანდელ ზარბაზნებს კაცი ისე ვერ მიუახლოვდებოდა, რომ გემისათვის რამე სითხე გადაესხა და მეორე კიდევ იმიტომ, რომ დროს შესაფერი სხვა უფრო დიდი ჯოჯოხეთის ცეცხლი გამოიგონეს—ტორპილი.

ტორპილს ეძახიან საფეთქებელის წამლით გატენილ სხვა-და-სხვა ქურქელს, რომელთა დანიშნულება ის არის, რომ მტრის გემი ააფეთქოს. თავდაპირველად, ამნაირი ტორპილები საჭიროა ზღვის ნაპირების დასაცველად, რომ მტერი ახლოს ვერ მიუდგეს. ამისათვის ზღვის ნაპირებზე, სადაც მოსალოდნელია მტერი მიადგეს, ერთი-ერთმანეთზე მოშორებით, ზოგი ღრმად და ზოგი იმ სიღრმეზე, რომ გემს წამოედოს, ზღვაში ჩაგდებულნი არიან ეს ტორპილები. როგორც მოუახლოვდება მტრის გემი, ამ ტორპილებს ნაპირიდან ელექტრონით ნაპერწკალს მისცემენ და ისინიც იფეთქებენ. იმნაირი ტორპილებიც არიან, რომ საკმარისია გემს წამოედოს და თავისთავად იფეთქებს. ამნაირ ტორპილზე ამბობენ „ფხიზლობსო“.



ფიგ. 1.—ზღვაში დაწოლილი ტორპილი.

რომ უფრო ადვილად წარმოიდგინოს მკითხველმა, რა საშინელი ძალა ექმნება ამ საფეთქებელს, საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ამნაირ ტორპილებისათვის ას-ოც ფუთამდინ მძლავრს საფეთქებელს წამალს ხმარობენ.

ამოდენა წამალი რომ იფეთქებს, წყალს ჯერ დიდ გორასავით დააყენებს; მერე უცბად გაარღვევს წვეროში და კვამლით და გაზებით დაცარიელებულ ალაგს ისეთის სისწრაფით მოაწყდება ყოველ მხრიდან აგორავებული წყალი, რომ უზარმაზარი წყლის სვეტი ავარდება ხოლმე მაღლა, რომელიც დიდ მანძილზე ნიაღვარსავით გადაესხმება.



ფიგ. 2 ტორპილი. რომელიც ფხიზლობს.

(სურ. 1 „დამატებაში“.) ისეთის ძალით სტყორცნის წყალს, რომ 10—12 ადლის გარშემო რაც დახვდება, ვერაფერი ვერ გაუძლებს—სულ დაამსხვრევს და მილეწ-მოლეწავს. სამხედრო ხომალდები, რომელნიც ნახევარ არშინის სისქის ფოლადით არიან შემორტყმულნი, ამის ძალას ვერ უძლებენ და იმსხვრევიან.

რაკი-ღა ასეთი ძალა ჰქონდა, რასაკვირველია, ყველა მოინდომებდა, რომ ამნაირი ტორპილები მარტო ზღვის ნაპირების დასაცველად არ ყოფილიყო. განა არ შეიძლებოდა ომის დროს შუა ზღვაშიაც გამოეყენებინათ? კეთილი ბრძანეთ, თურმე სიავეს

---

*) ამ წერილის შესახები სურათები იხ. დღევანდელ დამატებაში.

ეროვნული

და სხვა. შეტაკება ეხლა-ხან, 11 იანვარს, ტამბოვის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრებსაც მოსვლიათ. 16 წევრს სრულიად მიუნებებია თავი კომიტეტის სხდომებისათვის და შეუთვლიათ, კომიტეტში მუშაობა შეუძლებლად მიგვაჩნიაო. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ზოგიერთ წევრებს მოუთხოვნიათ სამაზრო კომიტეტების მოხსენებათა წაკითხვა, მაგრამ თავმჯდომარეს უარი განუცხადებია. სამაზრო კომიტეტებმა უმთავრესი ყურადღება გლეხთა ყოფა-მდგომარეობას მიაქციეს, ხოლო თავმჯდომარემ ეს საგანი სრულიად გამოაკლო განსახილველ საგნებიდან. როგორცა ვთქვით, 16 წევრმა მიანება კრებას თავი. ამათგან სამი მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლია, ერთი საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარე, სამი ამავე გამგეობის წევრი, ხუთი სამაზრო ერობის გამგეობათა თავმჯდომარე და ოთხიც ამ გამგეობათა წევრი. ამას გარდა ტამბოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ჩოლოყაშვილს კერძო წერილი გაუგზავნია კომიტეტისათვის და შეუთვლია, უსარგებლოდ მიმაჩნია კომიტეტში მუშაობაო. კომიტეტში დარჩენილა 14 წევრი: ერთი მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ორი სამაზრო ერობის გამგეობათა თავმჯდომარე და 11 მოხელე. ამ მოხელეებმა უნდა გამოიკვლიონ სოფლის საჭიროებანი და მალამო დასდონ სოფლელთა ტკივილს...

◆

სამხატვრო აკადემიასთან არსდება უმაღლესი კურსები საეკკლესიო მხატვრობისა. იქვე ასწავლიან საეკკლესიო არქეოლოგიას.

სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა კომიტეტში

სამშაბათს, 21 იანვარს, ტფილისის გუბერნატორის ბ. სვეჩინის თავმჯდომარეობით სასოფლო-მეურნეობის მრეწველობის საჭიროებათა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტს სხდომა ჰქონდა სექციების მოხსენებათა განხილვის განსაგრძობად. საგუბერნიო კომიტეტს წარედგინა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება გაუმჯობესებულ იქმნეს ტფილისის გუბერნიის სასოფლო-მეურნეობის საქმე. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა 82% მეურნეობას მისდევს და ამიტომ საჭიროა ყოველ მხრივ აწონ-დაწონილ იქმნეს ეს საქმე.

პირველ სექციის აზრით, სამეურნეო მრეწველობის სპეციალური ცოდნა ხალხში ფეხს მაშინ მოიკიდებს და ეხლანდელი დაცემული მეურნეობა დღევანდელს მდგომარეობას თავს მაშინ დააღწევს, როდესაც უმრავლესობა შეძლებს მთავრობის თუ კერძო საზოგადოებათა მიერ დასახელებულ საშუალებათა განხორციელებას მეურნეობის გასაუმჯობესებლად. საუკეთესო საშუალებანი სატეხნიკო ცოდნათა გასავრცელებლად არის დაბალი, საშუალო და მაღალი სპეციალური სასწავლებლები სხვა-და-სხვა ტიპისა, საცდელი მინდვრები და სადგურები პრაქტიკულად მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შესასწავლად და ინსტრუქტორთა ინსტიტუტი, რომელთა წარმომადგენელნი ხალხში ჩადგებიან და უმრავლესობას საჭირო ცოდნას მიაწოდებენ. ამას გარდა სასურველია, მიეწოდოს ტფილისის გუბერნიისათვის ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს დროზე და შეღავათიანად ხალხს მიაწოდოს სამეურნეო იარაღი, მიწის სასუქი, ნერგები, თესლი. ამას გარდა უნდა მოეწყოს ნათესობის გამანადგურებელ და მავნებელ არსებასთან ბრძოლა. სექცია ამბობს, რომ დასახელებულ საშუალებებს ხალხი გამოიყენებს მაშინ, როცა იგი საჭირო საზოგადო ცოდნით იქმნება აღჭურვილი, ამიტომ საჭიროა უპირველესი ყურადღება მიექცეს ხალხის უმრავლესობის განათლების საქმეს. დღეს ტფილისის გუბერნიის 900,000 მცხოვრებს აქვს მხოლოდ 13 ორკლასიანი და 125 ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა; ასე რომ 6000 მცხოვრებზე, ორთა შუა რიცხვით, მოდის 1 სკოლა. გუბერნიის იმ ნაწილში, სადაც ქართველობა სცხოვრობს, სექციის წევრის თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკის აზრით, 1 სკოლაზე მოდის 4600 მცხოვრები, ხოლო იქ, სადაც მაჰმადიანები სცხოვრობენ,—11,700 მცხოვრები. სკოლა ცოტაა და ამასთან თვით სწავლის საქმე ისეა დაყენებული, რომ ხალხისათვის უსარგებლოა. ჯერ ერთი-ამ სკოლებში სწავლება ყველა საგნებისა სწარმოებს უმრავლესობისათვის გაუგებარ რუსულს ენაზე და მეორე—ისეთის მეთოდის (ბუნებრივი ან „ჩვენებურად მუნჯური მეთოდი) საშუალებით, რომელიც უარყოფილია რაციონალურ პედაგოგიის საუკეთესო წარმომადგენელთა მიერ. სექციის აზრით, ამ გარემოების მიზეზია უმთავრესად, რომ დღევანდელი სახალხო სკოლა ხალხს ვერ აწვდის საჭირო ცოდნას და ვერ ასწავლის სახელმწიფო ენას იმდენად, რომ მოსწავლემ გამოიყენოს. ამიტომ საჭიროა სრულიად შეიცვალოს სახალხო სკოლებში დღევანდელი სისტემა სწავლებისა, რომელსაც უსათუოდ სარჩულად-ნიადაგად უნდა გაუხდეს დედა-ენა. ამასთან საჭიროა სკოლებში 3 წლის კურსის ნაცვლად შემოღებულ იქმნას 4 წლის კურსი. პირველ სექციას ამასთანავე დაუდგენია აღძრას შუამდგომლობა, რომ დაარსდეს რაც შეიძლება საკმაო 2 კლასიანი სახალხო სკოლა 5 წლის კურსით, სადაც სახელმწიფო ენის სწავლება აგრეთვე დედა-ენის საშუალებით უნდა სწარმოებდეს.

სექციის გადაწყვეტილებამ კომიტეტის სხდომაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რამაც ნაშუადამევის სამ საათამდე გასტანა. კომიტეტის მოსაზრებათა წინააღმდეგი იყო განსაკუთრებით სახალხო სკოლათა ინსპექტორი ბ-ნი პერევოზნიკოვი, რომელმაც, სხვათა შორის, განაცხადა, უთუოდ შეუძლებელია სახალხო სკოლაში 4 წლის ან მეტის კურსის შემოღება, რადგან პრაქტიკულად ცნობილია, რომ ღარიბი მეურნე იმდენად ძვირად აფასებს მოზარდ შვილების დახმარებას, რომ ოთხის-ხუთის წლით სკოლაში ვერ მისცემს. მართალია,—განაცხადა პერევოზნიკოვმა,—რომ ეხლანდელს სკოლას სასურველი ნაყოფი ვერ მოაქვს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ისევ ის გარემოებაა, რომ გლეხი ბავშვს სკოლისათვის დიდის ხნით ვერ ელევა და როგორ შეიძლება ორ წელიწადში ბავშვმა წერა-კითხვა და სახელმწიფო ენა რიგიანად შეისწავლოს. რაც შეეხება ბუნებრივ მეთოდს, იგი საუკეთესო საშუალებად არის მიღებული ევროპისა და ამერიკის სკოლებში უცხო ენის შესასწავლადაო. ამას გარდა 5 ან 4 წლის კურსი მოსწავლის დედ-მამას ძვირად დაუჯდება. ჩემის აზრით, უკეთესია დარჩეს დღევანდელი 3 წლის კურსიო. პერევოზნიკოვის აზრის წინააღმდეგი იყო კომიტეტის თითქმის ყველა წევრი. დაწვრილებით შეეხნენ პერევოზნიკოვის მოსაზრებათა უსაფუძვლობას თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ვახვახიშვილი, ა. ზ. და დ. ე. ჩოლოყაშვილები, ვასილიევი, ბ-ნი ა. ფირალოვი და სხვანი. მოწინააღმდეგენი, სხვათა შორის, ამტკიცებდნენ, რომ ხალხმა იმდენად შეიგნო ჩვენში სწავლის მნიშვნელობა, რომ არამც თუ ხარჯს არ დაერიდება და 5 წლით ბავშვს სკოლაში მისცემს, არამედ ყოველნაირ გაჭირვებას მოითმენს, სიღარიბეს აიტანს და ბავშვს სკოლაში უსათუოდ მიაბარებსო. ამას გარდა არ. ფირალოვმა და თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა აღნიშნეს, რომ „ბუნებრივი მეთოდი“ ბავშვებს აუკუღმართებსო. პერევოზნიკოვი კიდევ დიდხანს ამტკიცებდა თავისას. ოპონენტებმა მაგალითებით დაამტკიცეს დღევანდელ სკოლების ყოვლად გამოუსადეგრობა.

დასასრულ კომიტეტმა გადასწყვიტა: 1) აღძრას შუამდგომლობა, რომ ტფილისის გუბერნიაში გამრავლებულ იქმნას სახალხო სამინისტრო სკოლების რიცხვი; 2) ცნობილ იქმნას სასოფლო მეურნეობის გავრცელების საქმეში სასარგებლოდ ერთ და ორკლასიან სკოლების დაარსება ადგილისა და მდგომარეობის მიხედვით; 3) აღძრას შუამდგომლობა, რომ 1 კლასიან სამინისტრო სკოლებში სახელმწიფო ენის საუკეთესოდ შესასწავლად 3 წლის კურსის ნაცვლად შემოღებულ იქმნას 4 წლის კურსი, ისე კი, რომ პირველს ორს წელიწადს სწავლება სწარმოებდეს სამშობლო ენის საშუალებით, ხოლო დანარჩენ ორს წელიწადს—რუსულის ენის საშუალებით ისწავლებოდეს რუსული ენა და არითმეტიკა, ხოლო დანარჩენი საგნები დედაენაზე. აგრეთვე უნდა მოეწყოს სწავლება 2 კლასიან სკოლებში 5 წლის კურსით. ამასთან რუსულის ენის სწავლება უნდა დაწყებულ იქმნას პირველ წლის პირველ დღიდანვე. სკოლები, რაც შეიძლება, პედაგოგიის მოთხოვნილების თანახმად უნდა მოეწყოს; გაუმჯობესდეს მასწავლებელთა მდგომარეობა და სხვა; 4) ცნობილ იქმნას საჭიროდ, რომ სახალხო სკოლებში რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს დედა-ენის საშუალებით; 5) იმ სკოლებში, სადაც სხვა-და-სხვა ტომის ბავშვები სწავლობენ, ყველა საგნის სწავლება უნდა სწარმოებდეს რუსულ ენის საშუალებით.

კომიტეტმა ამ სხდომას პირველ სექციის საყურადღებო მოხსენებიდან მოასწრო მხოლოდ იმ ნაწილის განხილვა, რომელიც სკოლებში სწავლების საქმეს შეეხება, დანარჩენ მუხლების განსახილველად ყოველ დღე ექმნება სხდომები.

თავად მიხეილ ანდრონიკაშვილის წერილი

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ ერთის ახალგაზრდა ქალის საქმე, რომელმაც მთელს რუსეთში შარშან დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი ასტეხა. ეს ქალი ტატიანა ზოლოტოვისაა. „პეტერ. ვედომ.“-ში დაბეჭდა, რომ ვიღაც გამომძიებელმა ზოლოტოვისას, ლამაზსა და ახალგაზრდა ქალს, ტყუილად ბრალი დასდო, დააპატიმრა, შემდეგ გააუპატიურა და სხვებსაც ჩაუგდო ხელში, ერთის სიტყვით, იქამდე გაუმწარეს სიცოცხლე, რომ საწყალმა ქალმა თავი მოიწამლაო. ამ კორესპონდენციის გამო იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა: გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ კორესპონდენციაში ნაამბობი ტყუილია, რომ ზოლოტოვის ქალი საეჭვო ყოფა-ქცევისა იყო და გამომძიებელმა კანონიერად დააპატიმრაო. ამით გათავდა საქმე. მაგრამ ამ განმარტებას არ დასჯერდა თურმე თავადი მიხეილ ანდრონიკაშვილი, რომელიც წასულა, ადგილობრივ გამოუკვლევია ყველაფერი და აი ეხლა რასა სწერს იმავე „პეტერ. ვედომოსტის“ მე-15 ნომერში:

„შარშან, „პეტ. ვედომ.-ს მე-164 ნომერში მოთავსებული იყო ტიხორეცკის სადგურიდან კორესპონდენცია, რომელმაც მთელს რუსეთში საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ნაამბობი იყო, ერთმა გამომძიებელმა ტიხორეცკის სადგურზე როგორ მოისურვა ხელში ჩაგდება ტატიანა ზოლოტოვის ქალისა, რომელიც იმასთან ერთად მატარებლით მიდიოდა, როგორ შეაპარა ქალს ვაგონში დაშნა და ძველი ქოლგა, შემდეგ დააპატიმრა, გააუპატიურა და სხვა მოხელეებსაც მისცა ნება გაუპატიურებისა, ყველა ამის გამო როგორ მოისურვა ზოლოტოვის ქალმა თავის მოკვლა, როგორ ჰყიდდნენ ფულისა და არყისათვის ქალს ყაზახებზე და ბოლოს როგორ მოახერხა საწყალმა პატიმარმა თავის მოწამვლა. კორესპონდენციაში შემდეგ ნათქვამი იყო, რომ რკინის გზის ადგილობრივ დეპოს მუშებმა, როდესაც ეს ამბავი გაიგეს,

---

კი ადვილად გამოიგონებდა ადამიანი. ვსთქვათ, ორი მტრის გემი შუა ზღვაში ერთმანეთს შეხვდა. ერთი მათგანი განგებ გამოიქცევა, რომ მტერი უკან გამოიყოლიოს და ამ დროს გზა-გზა ტორპილებს წყალში აბნევს, რომ უკან მომდევარი მტრის გემი წააწყდეს მას და ააფეთქოს.—მაგრამ ეს არა ჰკმაროდა; მტერმაც კარგად იცოდა ყველა ეს ხრიკები; ძალიან ფრთხილობდა და მოტყუება ასე ადვილიც არ იყო. მაშინ მოიგონეს მსწრაფლ მავალი პატარა გემები, რომელთაც ეს ტორპილები მტერთან ახლოს უნდა მიეტანათ, ესროლათ და გამოქცეულიყვნენ. რადგან სამხედრო გემები მეტად მძიმე არის და ნელა იძვრიან, ეს პატარა სატორპილო გემები ანუ **ტორპილერები** ისე სწრაფად მიეპარებოდნენ, მეტადრე ღამე, და ისე მალე გამოიქცეოდნენ, რომ ზარბაზნით ნიშანში ამოღებასაც კი ვერ მოასწრებდნენ. რადგან ძალიან ახლოსაც არ შეიძლებოდა მტრის გემთან მიპარვა, საჭირო იყო ამ ტორპილებისათვის ისეთი ფორმა მიეცათ და იმნაირად გაეკეთებინათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი შორიდან გასროლა (იხ. სურათ. II—III). მექანიზმი ამნაირი ტორპილებისა მეტად რთულია. სურათი II. გარეგან სახეს გვიჩვენებს. თავში მოთავსებულია მძლავრი საფეთქი წამალი, შუა წელი მაშინებს შეიცავს, რომელთაც უნდა ამოძრაონ, წყალში მიმართულება მისცენ და თავის დროზე ააფეთქონ, ბოლოში ტორპილის წინ წასაყვანი ორი ფრთა ტრიალებს. მიუახლოვდებიან თუ არა მტრის გემს, 400—500 ადლის მანძილიდან, ამ ნაირ ტორპილს ჯერ კარგად დაუპირდაპირებენ მტრის გემს და მერე გადისვრიან წყალში. გადასროლილი ტორპილი მაშინვე დაიყურყუმალებს და თუ კარგად არის ნასროლი, რამდენიმე წუთის შემდეგ მტრის გემთან თავს ამოჰყოფს, გასკდება და ყველაფერს დალეწავს (იხ. სურ. IV და V) აღარც ეს ჰკმაროდა. მტერი მეტად ფხიზლობდა; დღე ისე ახლოს არ მიუშვებდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ტორპილების გამოსროლა და ღამეც ელექტრონის სინათლის შემწეობით შორსაც ადვილად დაინახავდა მტერს და იმდენ ყუმბარებს მიაყრიდა, რომ ტორპილების გამოსროლას ველარ მოახერხებდნენ. ამას გარდა დიდ ხომალდებს თან მოსდევდა საგანგებოდ ტორპილერებთან საბრძოლველად ინგლისელებისაგან მოგონილი მსწრაფლ-მავალი გემები თავიანთ ზარბაზნებით და თუ სადმე თვალს მოჰკრავდნენ—კარგ დღეს არ დააყენებდნენ. მაშინ გამოიგონეს ზღვის ქვეშ მოსიარულე ტორპილერები.

თავდაპირველად, ზღვის ქვეშ მოსიარულე ნავის გაკეთება სცადა 1620 წ. ერთმა ჰოლანდიელმა ვან დრებელმა; მაგრამ ამნაირი ნავის ომიანობაში გამოყენება ამერიკელებმა სცადეს, როდესაც თავიანთ განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ამ ცდას მათთვის ბევრი არაფერი ნაყოფი მოუტანია. მხოლოდ 1860 წლებში, როდესაც მთელი წყალში მოძრაობა ხელების მაგივრად, მაშინების შემწეობით გამოიგონეს და თან ამერიკელმა მორტენსენმა ტორპილის შიგ ზღვაში სასროლი მანქანა მოიგონა, მაშინ ყველა მიხვდა, რომ ეს სახუმარო და სათამაშო საქმე აღარ იყო, და გულ-მოდგინედ შეუდგნენ ამ აზრის განვითარებას და განხორციელებას. ბევრს მკითხველს, დარწმუნებული ვარ, ზღვაც კი არ ენახვება, და რა თქმა უნდა, არც გემები ენახვება. ზღვის-ქვეშ მოსიარულე ტორპილერები გარეგნობით ბევრად არ განსხვავდებიან ზღვაზე მოსიარულე ტორპილერებისაგან. ეს უკანასკნელნი უფრო დიდები არიან, რადგან მათ შუა ზღვაშიაც უნდა მისდიონ დიდ სამხედრო გემებს, ზღვის-ქვეშ მოსიარულე ტორპილერები კი საზოგადოდ პატარები არიან; მათი სიგრძე 15—36 ადლამდე არის და სიგანე 2-$2^3/_4$-ადლამდინ; ამ ნაირად სიგარასავით წაწოწოლებულია და ზევიდან ცოტა წაბრტყელებული. შუა ერდოში დატანებული აქვთ მენავეების ჩასასვლელი, საიდანაც ზღვის მიდამოს თვალიერებაც შეიძლება. რა თქმა უნდა, ამ ნაირ ხასიათის გემი ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ იმოდენა წყალი არსაიდან არ შეუვიდეს, რომ დაიძიროს და დაღუპოს. საჭიროა აგრეთვე მენავეებისათვის ჰაერი ან ქიმიურად შიგ გემში მზადდებოდეს, ან საგანგებო ჰურჭლებში დაკუმშული ჰაერი ინახებოდეს. გემის სამოძრაო მანქანების ხმარება ორ-ნაირ ძალით ჰხდება. როდესაც გემი წყლის ქვეშ არის, მაშინ მაშინების მოძრაობა ელექტრონის ძალით ჰხდება, როდესაც წყალზე დასცურავს—ორთქლის ძალით. უკანასკნელი „ნარვალის“ ტიპის ტორპილერი, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის, იმ ნაირად არის მოწყობილი, რომ საათში 10—12 ვერსტის მეტის სიჩქარით რომ არ იაროს, 800 ვერსტის მანძილის გავლა შეუძლიან. მხოლოდ წყლის-ქვეშ ამავე სიჩქარით რომ იაროს, მარტო 35 ვერსტის გავლა-ღა შეუძლიან; ამ მანძილს რომ გაივლის, ის იძულებულია ზღვაზე ამოვიდეს, მოჰკრიფოს ისევ შესაფერი ელექტრონის ძალა და შემდეგ ისევ შეუძლიან ჩაიყურყუმელავოს და იმოდენივე მანძილი კიდევ გაიაროს.

უბედურება ის არის, რომ ამ ზღვის-ქვეშ მოსიარულე გემებს დიდი ყურადღება სჭირიათ და დიდი სიფაქიზით ხმარება. წყალში ჩაიყურყუმლავებს თუ არა, ერთ დონეზე გაჩერება მისი მეტად ძნელია, სულ ტოკავს და მუდმივ საჭიროა ხელოვნურად ატრიალონ, ფრთები წყალში სწორედ გააჩერონ. ამასთანავე მართალია სხვა-და-სხვა ბროლის მინების საშუალებით სცდილობენ ზღვის-ქვეშ დაინახონ ის, რაც ზღვაზე ჰხდება, მაგრამ ჯერ ეს ისე განუვითარებელია, რომ შეიძლება ითქვას, ზღვაში რომ გემი ჩაიყურყუმელავებს, უცბად ბრმავდება, ალალ-ბედზე მიდის და შესაძლებელია იმ ნაირ დროს და ალაგას ამოიყურყუმელავოს, რომ მტრის ზარბაზნ-ს ტუჩს ამოჰკრას თავი, რაც, ცხადია, იმას განზრახვად არ ექმნებოდა.

მაგრამ ჯერ ეს ახალი ხილია და ზღვის-ქვეშ მოსიარულე გემებზე მაინც-და-მაინც დიდი იმედებია დამყარებული და დიდ მომავალსაც უქადიან. მართლაც და იმ დღეს, როცა ეს გემები ზღვაზედ მოსიარულე დიდ გემებსავით შესძლებენ შუა ზღვაში სიარულს და დიდ მანძილს გაივლიან, მაშინ ზღვაში ბატონობის დაჩემება, როგორც ეხლა ინგლისს აქვს დაჩემებული, ადვილი მოსახერხებელი არ იქმნება, თუ, რასაკვირველია, კიდევ სხვა რამ ამაზე უკეთესი საომარი იარაღი არ გამოიგონეს.

ბ—ძე.

მოისურვეს საკუთარის სამართლით დამნაშავეთა დასჯა, ასე რომ საჭირო შეიქმნა ჯარის ჩარევა; ხოლო გამომძიებელმა გაქცევით უშველა თავსაო.

„მალე თქვენსა და სხვა გაზეთებში დაიბეჭდა იუსტიციის სამინისტროს ვრცელი განმარტება, სადაც ზოლოტოვის დაპატიმრებისა და თავის მოკვლის ამბავი უარ-ყოფილი არ იყო, მაგრამ გამომძიებლის მოქმედება კანონიერად იქმნა ცნობილი, რადგან ზოლოტოვის ქალი პროსტიტუტკა იყო და ქურდობა მართლაც განიზრახაო. ამავე განმარტებიდან გავიგეთ, რომ სასამართლოს გამომძიებლის გვარი პუსეპპია.

„რადგანაც,—ჩვენის სამოსამართლო წესდებათა ძალით,—გამომძიებელს საკმაო საბუთი არა ჰქონდა ზოლოტოვის ქალის დასაპატიმრებლად და არ შეეძლო ისეთის ბეს მოთხოვნა, რომელიც ნაქურდალ ნივთების ღირებულობას ბევრად აღემატებოდა, რადგანაც, მეორეს მხრივ, სამინისტროს განმარტებამ სავსებით აღიარა თავის მკვლელობის ფაქტი და ის კავშირი, რომელიც დაპატიმრებისა და თავის მკვლელობის შორის არსებობდა; ამიტომ ეჭვმა შემიპყრო, ვერ ვერწმუნე ასეთ ორ-აზროვან განმარტებას და სიმართლის გამოსარკვევად გადავწყვიტე, თვით წავსულიყავ ადგილობრივ, გამომეკითხნა მცხოვრებთათვის და გამეგო ამ საოცარ ამბის ყოველივე გარემოება.

„ჩემის გამოძიების შედეგად და იმ ცნობათა მეოხებით, რომელიც ოლქის უმაღლესმა ადმინისტრაციამ დაამოწმა და აგრეთვე იმ წერილების წყალობით, რომელიც ზოლოტოვის ქალის მშობელთაგან მივიღე, აღმოჩნდა, რომ თქვენის კორესპონდენტის მიერ ნაუწყები ამბავი ყოვლად მართალია, მხოლოდ თვით ფაქტი ბევრად უფრო გულამმღვრევია, ვიდრე თქვენა გქონდათ აწერილი. საბუთი არის ვიფიქროთ, რომ ტატიანა ზოლოტოვის ქალს მეორედ თვითონ არ მოუწამლავს თავი კარბოლოვის სიმჟავით, არამედ სხვებმა მოწამლეს, რათა დაეფარათ ძალმომრეობის კვალი რამდენისამე ათის კაცისა, რომელთაც აწამეს და გააუპატიურეს. საცოდავ ქალის გვამი ადგილ-ადგილ დასიებული და დასისხლიანებული იყო, აქა-იქ კაცის თითების კვალიც მოსჩანდა. ამბობენ, კარბოლის სიმჟავე ზოლოტოვის ქალს უკვე მკვდარს ჩაასხეს პირშიო.

„შემდეგ საჭიროა შესწორდეს შეცდომა როგორც თქვენის კორესპონდენტისა, ისე სამინისტროს განმარტებისა. ზოლოტოვის ქალი უმანკო არ იყო; იმისმა მშობლებმა შემატყობინეს, რომ ტატიანამ თავის ცხოვრებაში „სამი რომანი" გამოსცადაო; მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ ამტკიცებს სამინისტროს სიტყვების ჭეშმარიტებას, რომ ზოლოტოვის ქალი პროსტიტუტკა იყოო.

„დასასრულ, უნდა ვსთქვა, რომ სამოსამართლო უწყების მოხელეებმა, რომელთაც ამ საქმის გამოძიება მოახდინეს, ყოველივე საშუალება იხმარეს, რათა სიმართლე დაეფარათ და დამნაშავენი გადაერჩინათ; ამას გარდა კავკავის რკინის გზის მუშები, რომელთაც მოისურვეს ტატიანა ზოლოტოვის ქალის დაცვა და დახმარება, ყველანი დაითხოვეს სამსახურიდან და დასაჯეს; დასასრულ, მართლ-მსაჯულების მთავარ დაწესებულებათა მოქმედება ამ საქმეში არა სასურველ მითქმა-მოთქმას იწვევს მთელს ჩრდილოეთ-კავკასიაში: ამბობენ, სიმართლე ხშირად ფეხ-ქვეშ ითელება და შელახულ უფლების აღდგენა ყოველთვის ვერ არის შესაძლებელიო".

ამ წერილის გამო, როგორც მკითხველებს დეპეშიდან ეხსომებათ, იუსტიციის სამინისტრომ ბრძანება მოახდინა ხელ-მეორედ მოხდეს ზოლოტოვის საქმის გამოძიება. ხელმძღვანელობა მიენდო ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს ბ-ნ კოვალენსკის, ხოლო გამოძიება—პეტერბურგის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს—ბურცევს. შედეგი ამ გამოძიებისა, როგორც სამინისტრო აცხადებს „პრავიტ. ვესტ."-ში, სავსებით გამოქვეყნებული იქმნება.

თეატრი

დღეს, 23 იანვარს, საინტერესო წარმოდგენაა ქართულ თეატრში: **ბენეფისია ნიჭიერ და დამსახურებულ არტისტ-ქალის ნ. გაბუნია-ცაგარლისა.** მობენეფისეს ამოურჩევია ახალი კომედია „მელანიას იონები", ჰაუპტმანის პიესიდან გადმოკეთებული კ. მესხის მიერ. მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

—

სიღნაღი. კვირას, 19 იანვარს, მოწყენილობის გასაფანტად, სიღნაღის კლუბის წევრთ საცეკვაო საღამო ჰქონდათ დანიშნული. ამ საღამოს სულ ათიოდე კაცმა ძლივს მოიყარა თავი და ძალზე სცდილობდნენ ბევრი ეთამაშნათ, მაგრამ მოთამაშეც არავინ იყო. ძალით ეჭიდებოდნენ ვინც მოხვდებოდათ, არიქა, ითამაშე, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ და იძულებულნი იყვნენ დაშლილიყვნენ და ისევ სახლებში დაბრუნებულიყვნენ, რომ ხელ ახლად მისცემოდნენ „სკუპნაობას". ამ კლუბის საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და თუმცა რამდენიმე კაცი სცდილობს იმის გამოკეთებას, მაგრამ ის მაინც თანდა-თან უკან მიდის და მალე თუ კვიან, უნდა დაიკეტოს და კლუბის ავეჯი სახლის ქირაში გაიყიდოს. ასე იცის საქმის არევ-დარევა, როდესაც საზოგადოებაში ერთობა არ არის.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 იანვარი.

პეტერბურგი. ქალაქ ეისკს ნება მიეცა გამოსცეს საობლიგაციო სესხი 900 ათასის მანეთისა ნავთსადგურის აშენებისათვის ხარჯის ნაწილის დასაფარავად.

უმაღლესის ნებართვით, კუნძულ მაგილნის სახელად ეწოდება ამიერიდან კუნძული პოსსიეტი.

ვილნა. „ვილენსკი ვესტნიკ"-ი იტყობინება, რომ 24 იანვარს იდღესასწაულებენ ვილნის სამოსწავლო ოლქის 100 წლის არსებობის იუბილეის.

რიაზანი. გამოვიდა 1-ლი № გაზეთი „რიაზანსკი სპრავოჩნ. ლისტოკ"-ისა.

ლონდონი. მეფის ავადმყოფობა მსუბუქი ინფლუენცაა. დევანშირის ჰერცოგის ნახვა გადაიდვა.

თეირანი. დიდბრიტანიის საგანგებო ელჩმა, დოუნმა, დიდის ამბით მიართვა სპარსეთის შაჰს ინგლისის უმთავრესი ორდენი და აღნიშნა მეგობრული ურთიერთობა ინგლისსა და სპარსეთს შუა. შაჰმა ელჩს გამოჰკითხა მეფე ედუარდის ჯანმრთელობის ამბავი.

ნოვგოროდი. სემინარიის მასწავლებელნი, ბერები და მოწაფენი გულითადათ გამოეთხოვნენ რექტორად ნამყოფს არხიმანდრიტს დიმიტრის, რომელიც დაინიშნა კრემენჩუგის ეპისკოპოსად; მოწაფეთ იგი გულწრფელად უყვარდათ.

ბერლინი. რომიდან იტყობინებიან, გამოჩენილი მექანიკი ფონ-კოპლი გარდაიცვალა.

მადრიდი. გაზ. „ესტაფეტა" იტყობინება, რომ ზოგიერთი ესპანიელი ბანკირი თანახმაა მოუხერხონ მაროკოს სულთანს 10 მილიონი პეზეტი სესხი 6%-ად. სესხი უზრუნველყოფილი უნდა იქმნას სადამოჟნო შემოსავლით.

ლონდონი. მეფე ინფლუენციით გახდა ავად, მაგრამ იმედი აქვს ჩესტფორტში გამგზავრების თავის მეუღლით.

კაპშტადტი. გაზეთ „კაპ. ტაიმს"-ის სიტყვით, გენერალი ბრონსლო გარდაიცვალა.

ვიქტორია. მალკოლმის კუნძულზე გადაიწვა ფინელ ახალშენთა სახლები; 11 კაცი მოკლულია და 15 დაჭრილი.

მოსკოვი. შინა-მრეწველობის მოსკოვის მუზეუმს საარტილერიო უწყებამ შეუკვეთა დიდძალი სადურგლო საქმეები. შინა-მრეწველობის მმართველ გამოფენისათვის მუზეუმ დიდ კოლექციას ამზადებს ხისა და ლითონის ნაწარმოებისას.

საგუბერნიო გამგეობა ქუდების საკეთებელ სადედ სახელოსნოს ჰმართავს.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა 21 იანვარს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ვლადივოსტოკის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს: „ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესად მოვახსენე და 17 იანვარს კეთილ-ინება უმაღლესის ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ სადამოჟნო საქმეები შორეულ აღმოსავლეთში გაწესრიგებული იქმნეს და უმაღლესად აღნიშნა, რა მიმართულება უნდა მივცეთ ამ საქმეს. მისმა იმპერატორებით უდიდებულესობამ უმაღლესად მომანდო გაცნობოთ ესე ვლადივოსტოკის ვაჭართ".

22 იანვარი

ჩერნიგოვი. ოსტროგსკი პოლკმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართა გუბერნატორს ანდრეევსკის.

ხარკოვი. სამოსამართლო პალატა შეუდგა სასადგილ-მამულო და სავაჭრო ბანკებში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ საქმის განხილვას. თავმჯდომარეობს სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე კრესტიანოვი, ბრალმდებელნი არიან: პალატის პროკურორი ხარულევი და უსტ-მედვედიცკის საოლქო სასამართლოს პროკურორი სოკალსკი; ბრალდებულთ იცავს 17 ნაფიცი ვექილი; გამოწვეულია 61 მოწმე და 20 ექსპერტი; საბრალმდებლო ოქმი ხვალ იქნება წაკითხული.

კონსტანტინეპოლი. იტალიის ელჩმა მიჰმართა ოსმალეთის მთავრობას თხოვნით—მოსძებნოს იტალიის გემის „სამბუკი"-ს ზღვაოსანნი, რომელნიც ავაზაკებმა შეიპყრეს მასსოვასთან, და სამართალში მისცეს ავაზაკნი. ელჩი ემუქრება პორტას სასტიკ ღონისძიებათ მივმართავთ, თუ ბოლოს არ მოუღებთ ავაზაკთა თარეშობასაო.

ვაშინგტონი. „რეიტერის სააგენტოს" ცნობებით, ბოუენი თანახმაა, რომ ერთის თვის განმავლობაში მოლაპარაკება შეეხებოდეს უმთავრესად მოკავშირე სახელმწიფოებს, თუ დაუყოვნებლივ მოსპობილ იქმნება ბლოკადა. ბოუენს ამის შესახებ ჯერ არ მიუღია სახელმწიფოთა პასუხი. საქმე ცოტათი გართულდა იმის გამო, რომ კასტრომ დეპეშით განაცხადა თავისი სურვილი ყველა კრედიტორებს ერთნაირად მოეპყრათო.

ბერლინი. აქაურ პრესსის ერთ ნაწილს ძალიან მოსწონს რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო დეკლარაცია; მაგალითად, „ნაციონალ ცაიტუნგი" დეკლარაციას სთვლის რუსეთის გამარჯვებად სპარსეთში. როგორც სჩანს, ამბობს ეს გაზეთი, რუსეთმა ზოგ რამეში კიდეც გაუსწრო ინგლისს სპარსეთშიო და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დეკლარაცია გაცხარებულ წერილებს გამოიწვევს ლონდონის პრესსაშიო. გაზეთი „ბერლინერ ნეუესტენ ნახრიხტენ" ამბობს, რუსეთმა, ახალ სავაჭრო ხელშეკრულობის მეოხებით, დიდი უპირატესობა მიიპოვა სპარსეთშიო ინგლისთან შედარებით. გაზეთი „ბერსენ კურიერი" აღნიშნავს, რომ ახალი სავაჭრო ხელშეკრულება მოასწავებს რუსეთის პოლიტიკის ახალს გამარჯვებას სპარსეთში. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი სწერს, რომ ხელშეკრულობა დაეხმარება რუსეთის გავლენის გაძლიერებას სპარსეთში, გააადვილებს ვაჭრობას მათ შორის და რუსეთისა და სპარსეთის ხალხს შორის ახალს ურთიერთობას შექმნისო.

პეტერბურგი. სტეპნის გენერალ-გუბერნატორის დეპეშაზე—დასრულდა სტეპნის მხარის საგლეხო უფროსთა პირველი კრებაო—ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და შემდეგი პასუხი მისწერა: „მოგანდობთ თქვენ გადასცეთ ჩემი გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც ომსკში ამ კრებას დაესწრო, ჩემდამი გრძნობათა გამოცხადებისათვის და აგრეთვე იმ ბეჯით შრომისათვის, რომელიც მათ გასწიეს გლეხთა და იმ ქვეყნის არა რუსთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. მწამს, რომ გლეხთა უფროსნი გულდაგულ იზრუნავენ მცხოვრებთა კეთილ დღეობისათვის და არა რუსთ მოიპყრობიან იმ სიყვარულით, რომელიც განათლებულ რუსთა თვისებაა, რადგან შეგნებული აქვთ მოვალეობა თავის სამსახურისა რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების დასაცველად ჩემის სამფლობელოს შორეულს მხარეში. ნიკოლოზი".

უმაღლესის ბრძანებით, გაუქმდა თანამდებობა სავაჭრო ზღვაოსნობის მთავარმმართველის თანაშემწისა, სამაგიეროდ დაარსდა ორი თანამდებობა ამ მთავარმმართველის ამხანაგისა; ამ ადგილებზე დაინიშნენ ტაინი სოვეტ. რუხლოვი და კონტრ-ადმირალი აბაზა.

გენერალ-მაიორი კოლუბაკინი დაინიშნა პრიმორსკი ოლქის სამხედრო გუბერნატორად და უსურიის კაზაკთა ჯარის უფროსად.

პარიზი. თავადმა ურუსოვმა 21 იანვარს გამართა დიდი სადიპლომატო სადილი, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრნენ საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში ბომპარი, აქაური დიპლომატები, მაღალ საზოგადოების წარმომადგენელნი და ფინანსისტები.

პეტერბურგი. „წითელი ჯვრის" მმართველობამ მიიღო ანდიჟანიდან კამერჰერ ალექსანდროვსკისაგან დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ გამოარკვია დახმარების რაოდენობა, რომელიც დასჭირდებათ მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთ მარტამდის. დიდი თოვლი მოვიდა; ყინვა 10 გრადუსია. ნანგრევთა გასათხრელად „წითელი ჯვრის" საზოგადოებამ დეპეშით გაუგზავნა ალექსანდროვსკის 20,000 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 28 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

—

ფოთის საქალაქო გამგეობა

ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ 1903 წლის 22 თებერვალს, შაბათს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში, მოხდება საბოლოო ზეპირი საჯარო ვაჭრობა (შეიძლება დაწერილ და კონვერტში დაბეჭდილ განცხადების წარმოდგენაც) ქალაქის თორმეტ დაგეგმულ მიწის ნაჭრის გასასყიდათ; ეს მიწის ნაჭრები მდებარეობენ ლევაშოვის ნაბერეჟნაიაზე CXXXII უბანში №№ 1164, 1165, 1166, 1167, 1168, 1169, 1170, 1171, 1172, 1173, 1174 და 1175, ყოველი ნაჭერი ზომით 109-დან 196 ოთხკუთხი საჟენამდე. ეს ადგილები ეთმობა მსურველთ იმ პირობით, რომ სამის წლის განმავლობაში უეჭველად უნდა გააშენონ ქვის შენობები და დაჰხურონ ისინი ისეთის საბურავებით, რომელთაც ცეცხლი არ ეკიდება. თუ ეს პირობა არ იქნება შესრულებული, ადგილი მყიდველს ჩამოერთმევა გამგეობის მიერ და ჩაითვლება ქალაქის საკუთრებად; მყიდველი-კი დაჰკარგავს შენობის აგების ნებასაც და ადგილში გადახდილ ფასსაც. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შეიტანოს ბე—ადგილის ფასის ოცი პროცენტი; დანარჩენი უნდა შეიტანოს ვაჭრობის დღიდან ერთის თვის განმავლობაში. როდესაც ადგილის მთელი ფასი იქნება გადახდილი, მყიდველს მიეცემა დროებითი მოწმობა იმისა, რომ უფლება შეიძინა სახლი ააგოს ნაყიდ ადგილში. ხოლო როდესაც მყიდველი აასრულებს სავალდებულო პირობას, მას მიეცემა დაწესებული ნასყიდობის საბუთი, რომ ადგილი სრული მის საკუთრებას შეადგენს. ვაჭრობა დაიწყება ფასიდან—ორი მანეთი თითო ოთხკუთხი საჟენში. (ნ. 3—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 22 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).